

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

დამოუკიდებელი ანალიზი

სახელმწიფო ფინანსების მდგრადობის ხელშეწყობისათვის

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი  
ერთეულები: ცალკეული ეკონომიკური და  
ფისკალური ინდიკატორების მიმოხილვა

**საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი**  
 ბიუჯეტის ანალიზისა და მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის  
 განყოფილებები

**საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები:  
 ცალკეული ეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების მიმოხილვა**

მაისი, 2016 წელი

**ანგარიშის შესახებ:** ანგარიშში ასახულია ეკონომიკური გარემოს ძირითადი ინდიკატორები მხარეების დონეზე, ასევე ბიუჯეტის დაგეგმვის/შესრულების ეფექტიანობის შეფასება, ფისკალური ინდიკატორები, როგორც შემოსულობების ისე გადასახდელების ანალიზის მიმართულებით

**შენიშვნა:** პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატის გათვალისწინებით, წარმოდგენილი მიმოხილვა არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც შესაბამის საკითხთან მიმართებაში რაიმე ტიპის რეკომენდაცია. ანგარიში მიზნად ისახავს საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შესაბამისი საკითხის პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელი ანალიზისა და შეფასებების წარმოდგენას.

ელ-ფოსტა:

[pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge); [ntsikvadze@parliament.ge](mailto:ntsikvadze@parliament.ge); [tsopromadze@parliament.ge](mailto:tsopromadze@parliament.ge)

## შინაარსი

შესავალი .....	4
ეკონომიკური გარემოს შეფასების ძირითადი ინდიკატორები.....	5
ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობა - მარგი ქმედების ანალიზის სისტემა (PEFA).....	16
ძირითადი ფისკალური ინდიკატორები.....	21
შემოსულობები .....	21
გადასახდელები.....	26
ადგილობრივი თვითმმართველობების რესურსების მოხმარება - შრომის ანაზღაურებისა და საქონელი და მომსახურების მუხლით ხარჯები .....	26
არაფინანსური აქტივების ზრდა - ე.წ კაპიტალური დანახარჯები .....	32
გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.....	35
გამოყენებულ მონაცემთა წყარო.....	41

## შესავალი

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯების წილი ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებში როგორც მოწინავე, ისე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რაც უმეტესწილად ფისკალური დეცენტრალიზაციის მექანიზმების გაუმჯობესებას უკავშირდება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებისთვის ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების თითქმის ერთ მესამედს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გაწეული გადასახდელები შეადგენს<sup>1</sup>. საქართველოსთვის კი აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 19%-ს უტოლდება (იხ. ცხრილი 1).

	2011	2012	2013	2014	2015
ადგილობრივი თვითმმართველობების და ავტ. რესპუბლიკების გადასახდელების წილი ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელებში	18%	22%	19%	18%	20%
ადგილობრივი თვითმმართველობების და ავტ. რესპუბლიკების ხარჯების წილი ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებში	20%	18%	19%	18%	18%

*ცხრილი 1: თვითმმართველი ერთეულების გადასახდელებისა და ხარჯების წილი ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელებისა და ხარჯებში (2011-2015 წწ).*

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს საქართველოს მხარეებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური და ფისკალური გარემოს მიმოხილვასა და აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე გაანგარიშებული ინდიკატორების შედარებით ანალიზს.

ეკონომიკური გარემოს შეფასების მიზნით, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოს მხარეების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის, ეკონომიკური საქმიანობისა და სპეციალიზაციის ინდექსის, შინამეურნეობათა საშუალო თვიური შემოსავლისა და ხარჯების, შრომის ბაზრის ინდიკატორების შესახებ.

ფისკალური მდგომარეობის შესაფასებლად კი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობის შეფასებასთან ერთად წარმოდგენილია ინფორმაცია ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და მათი ძირითადი კომპონენტების შესახებ.

<sup>1</sup> OECD Network on Fiscal Relations across Levels of Government, 2008. “Promoting Performance: Using indicators to enhance the effectiveness of sub central spending”. Working Paper No.5.

## ეკონომიკური გარემოს შეფასების ძირითადი ინდიკატორები<sup>2</sup>

თვითმმართველი ერთეული არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც აქვს საკუთარი ქონება, შემოსულობები, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება მოაწესრიგოს და მართოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, მათ შორის ეკონომიკური და ფინანსური საკითხები, საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად<sup>3</sup>.

საქართველო მოიცავს 12 თვითმმართველ ქალაქს და 64 მუნიციპალიტეტს, რომლებიც დაჯგუფებულია 11 მხარისა და თვითმმართველი ქალაქი თბილისის მიხედვით. მხარეების ძირითადი დემოგრაფიული და ეკონომიკური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში 2.

მხარე*	მუნიციპალიტეტების რიცხვი	მოსახლეობა (2014 წ.)		შინამეურნეობები (2014 წ.)	
		რიცხოვნობა (ათასი კაცი)	%-ული წილი	საშუალო თვიური შემოსავალი	საშუალო თვიური ხარჯი
კახეთი	9	405.0	9.0%	738.83	724.04
თბილისი	1	1175.2	26.2%	1005.85	984.00
შიდა ქართლი	8	313.8	7.0%	762.66	711.33
ქვემო ქართლი	7	513.1	11.4%	666.64	634.42
აჭარა	6	396.6	8.8%	882.36	890.98
სამეგრელო და ზემო სვანეთი	10	476.3	10.6%	810.50	785.69
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	17	749.2	16.7%	818.89	778.53
სამცხე-ჯავახეთი, გურია და მცხეთა-მთიანეთი	17	461.3	10.3%	772.24	797.17

ცხრილი 2: საქართველოს მხარეების მოკლე აღწერილობა (წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

\* ანგარიშში მხარეების მონაცემების დაჯამებული სახით წარმოდგენა დაკავშირებულია სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან.

	ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი					ნომინალური მშპ ერთ სულზე				
	2011	2012	2013	2014	საშუალო 2011-2014 წწ.	2011	2012	2013	2014	საშუალო 2011-2014წწ.
თბილისი	17.0%	12.9%	1.0%	7.5%	<b>10.8%</b>	8,529.2	9,545.7	9,649.0	10,862.2	<b>9,646.5</b>
კახეთი	18.1%	1.0%	14.6%	9.6%	<b>9.6%</b>	2,830.5	2,852.7	3,286.7	4,575.5	<b>3,386.4</b>
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	18.6%	0.2%	6.7%	4.1%	<b>7.4%</b>	3,160.4	3,151.4	3,376.9	5,610.9	<b>3,824.9</b>
ქვემო ქართლი	18.6%	0.2%	6.7%	4.1%	<b>7.4%</b>	3,540.7	3,750.2	4,036.6	5,089.3	<b>4,104.2</b>
აჭარა	17.6%	3.3%	7.3%	13.4%	<b>10.4%</b>	4,152.4	4,255.6	4,561.3	6,061.6	<b>4,757.7</b>
სამეგრელო და ზემო სვანეთი	11.1%	-2.0%	6.4%	14.8%	<b>7.6%</b>	3,164.1	3,083.8	3,300.6	5,462.1	<b>3,752.7</b>
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	14.7%	4.3%	0.4%	0.6%	<b>5.0%</b>	3,394.4	3,526.1	3,559.6	5,012.5	<b>3,873.2</b>
სამცხე-ჯავახეთი	18.2%	-2.8%	7.4%	4.4%	<b>6.8%</b>	3,124.9	3,016.9	3,249.6	4,520.2	<b>3,477.9</b>
გურია	15.0%	-0.7%	9.8%	22.5%	<b>11.7%</b>	3,119.3	3,096.1	3,425.7	5,462.1	<b>3,775.8</b>
<b>საქართველო</b>	<b>17.4%</b>	<b>7.5%</b>	<b>2.6%</b>	<b>8.6%</b>	<b>9.0%</b>	<b>5,447.1</b>	<b>5,818.1</b>	<b>5,987.6</b>	<b>7,816.2</b>	<b>6,267.2</b>

ცხრილი 3: ნომინალური მშპ (2011-2014 წწ.) წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<sup>2</sup> სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესაბამისად ზემოაღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა 2011-2014 წლების მონაცემებს.

<sup>3</sup> საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, თავი I, მუხლი 1.

ეკონომიკური გარემოს შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს მშპ-ს ზრდის ტემპი წარმოადგენს. საქართველოსთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი საშუალოდ (2011-2014 წწ.) 9%-ს უტოლდება. მართალია, 2014 წლის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა, თუმცა ცალკეული მხარეების დონეზე ანალიზისას განსხვავებული ტენდენციები ვლინდება. მხარეების დონეზე, ნომინალური მშპ-ს საშუალო ზრდის ტემპის (2011-2014 წწ.) მიხედვით:

- ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გურიის მხარე (11.7%) და თბილისი (10.8%) გამოირჩევა
- ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთისა (5.0%) და სამცხე-ჯავახეთის მხარეები (6.8%) ხასიათდება

ეკონომიკური კეთილდღეობის შესაფასებლად ასევე წარმოდგენილია მშპ-ს ერთ სულზე მაჩვენებლის ანალიზი. საქართველოს მასშტაბით ნომინალური მშპ-ს ერთ სულზე მოცულობა მხარდი ტენდენციით ხასიათდება და 2011-2014 წლების საშუალო მდგომარეობით 6,267.2 ლარს შეადგენს. რაც შეეხება მონაცემებს, ცალკეული მხარეების დონეზე<sup>4</sup>:

- ყველაზე მაღალი მაჩვენებლით თბილისი (9,646.5 ლარი) ხასიათდება, სადაც კონცენტრირებულია საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დიდი წილი (26%)
- ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კი კახეთი (3,386.4 ლარი) გამოირჩევა


ასევე საინტერესოა შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლისა და საშუალო თვიური ხარჯის დინამიკის ანალიზი. ცალკეული მხარეების დონეზე ანალიზისას ვლინდება, რომ 2014 წლის მდგომარეობით, საშუალო თვიური შემოსავლისა და საშუალო თვიური ხარჯის

- ყველაზე მაღალი მაჩვენებლით თბილისი ხასიათდება
- ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კი ქვემო ქართლი გამოირჩევა

რაც შეეხება მშპ-ს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით, აგრეგატულ დონეზე 2014 წლის მდგომარეობით, ყველაზე მაღალი წილი მშპ-ში მომსახურების სხვადასხვა სახეებსა (17.8%) და ვაჭრობას, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტს (17.5%) უკავია (იხ. დიაგრამა 1). თუმცა ცალკეული მხარეების დონეზე ანალიზისას ვლინდება, რომ მშპ-ში ყველაზე მაღალი წილი:

- მხარეთა უმრავლესობისათვის (კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო და ზემო სვანეთი, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერისა და მეთევზეობის დარგს აქვს
- შიდა ქართლსა და ქვემო ქართლისათვის - მრეწველობას
- აჭარისათვის - მშენებლობას
- თბილისისათვის - ვაჭრობას, ავტომობილების საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტს უჭირავს.

<sup>4</sup> 2011-2014 წლის საშუალო მაჩვენებლის შესაბამისად
















**დიაგრამა 1:** მშპ ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, აგრეგატული, 2014 წ.

მხარეების ეკონომიკური განვითარების ანალიზისას საინტერესოა შეფასდეს ისიც, თუ ეკონომიკური საქმიანობის რომელი მიმართულებით აქვს შედარებითი უპირატესობა თითოეულ მხარეს. საერთაშორისო პრაქტიკით მხარეების შედარებითი უპირატესობის დასადგენად გამოიყენება სპეციალიზაციის ინდექსი (OECD, 2013. OECD Regions at a Glance 2013, OECD Publishing, Paris.). აღნიშნული ინდექსი გაიანგარიშება, როგორც თითოეული მხარისთვის კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორში დასაქმებულთა წილი ამავე მხარეში დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში შეფარდებული მთლიანი ქვეყნისათვის გაანგარიშებულ ანალოგიურ მაჩვენებელთან შესაბამისი სექტორისთვის<sup>5</sup>. თუ სპეციალიზაციის ინდექსის მაჩვენებელი 1-ზე მაღალია, მიიჩნევა, რომ მხარეს შედარებითი უპირატესობა აქვს შესაბამის ეკონომიკურ სექტორში.

საქართველოს მხარეებისათვის სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით გაანგარიშებული სპეციალიზაციის ინდექსის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, კერძოდ, დიაგრამაზე თითოეული დარგისთვის წარმოდგენილი ის მხარეები, რომელთათვისაც სპეციალიზაციის ინდექსის გაანგარიშების საფუძველზე გამოვლინდა შედარებითი უპირატესობა. როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველოს რეგიონების უმრავლესობას შედარებითი უპირატესობა სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში; მრეწველობასა და ასევე თევზჭერა-მეთევზეობაში გააჩნია.


<sup>5</sup> საქართველოსათვის სპეციალიზაციის ინდექსი გაანგარიშებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრის მონაცემების საფუძველზე, სადაც დასაქმებულთა რაოდენობაში იგულისხმება საწარმოში დასაქმებულ პირთა (დაქირავებულები, დასაქმებული დამფუძნებლები და საოჯახო საწარმოს შემთხვევაში - დასაქმებული ოჯახის წევრები) საშუალო რაოდენობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში

	<b>სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გურია</li> <li>• კახეთი</li> <li>• რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამეგრელო და ზემო სვანეთი</li> <li>ქვემო ქართლი</li> <li>შიდა ქართლი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>იმერეთი</li> </ul>
	<b>თევზჭერა, მეთევზეობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იმერეთი</li> <li>• გურია</li> <li>• სამეგრელო და ზემო სვანეთი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კახეთი</li> <li>ქვემო ქართლი</li> <li>შიდა ქართლი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</li> <li>მცხეთა-მთიანეთი</li> </ul>
	<b>სამთომომპოვებითი მრეწველობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გურია</li> <li>• იმერეთი</li> <li>• კახეთი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მცხეთა-მთიანეთი</li> <li>ქვემო ქართლი</li> <li>შიდა ქართლი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</li> </ul>
	<b>დამამუშავებელი მრეწველობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გურია</li> <li>• იმერეთი</li> <li>• სამცხე-ჯავახეთი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კახეთი</li> <li>მცხეთა-მთიანეთი</li> <li>შიდა ქართლი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ქვემო ქართლი</li> </ul>
	<b>ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და გადანაწილება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თბილისი</li> <li>• კახეთი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მცხეთა-მთიანეთი</li> <li>ქვემო ქართლი</li> </ul>	
	<b>მშენებლობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იმერეთი</li> <li>• გურია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</li> <li>სამცხე-ჯავახეთი</li> </ul>	
	<b>ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თბილისი</li> <li>• მცხეთა-მთიანეთი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კახეთი</li> <li>გურია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>იმერეთი</li> </ul>
	<b>სასტუმროები და რესტორნები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აჭარა</li> <li>• გურია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>იმერეთი</li> <li>სამცხე-ჯავახეთი</li> </ul>	
	<b>ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თბილისი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამეგრელო და ზემო სვანეთი</li> </ul>	
	<b>ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თბილისი</li> </ul>		
	<b>განათლება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თბილისი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ქვემო ქართლი</li> </ul>	
	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თბილისი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამეგრელო და ზემო სვანეთი</li> </ul>	
	<b>კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თბილისი</li> <li>• კახეთი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>აჭარა</li> <li>სამცხე-ჯავახეთი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამცხე-ჯავახეთი</li> <li>ქვემო ქართლი</li> </ul>

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში, ეკონომიკური აქტივობის შესაფასებლად არაპირდაპირ ინდიკატორებად ხშირად გამოიყენება ელექტროენერჯის მოხმარებისა და აქტიურ საწარმოთა რაოდენობის ზრდის ტემპი. თუმცა ანალიზისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკონომიკური აქტივობის გარდა აღნიშნული მაჩვენებლების დინამიკა შესაძლოა უკავშირდებოდეს სხვა ობიექტურ გარემოებებს და არ იძლეოდეს ეკონომიკური აქტივობის დინამიკის შესახებ ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. მოცემული მაჩვენებლები საქართველოს მხარეების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში 4 და დიაგრამა 3.

	ელექტროენერჯის მოხმარების ზრდის ტემპი				ახლადრეგისტრირებული აქტიურ საწარმოთა რაოდენობის ზრდის ტემპი			
	2012	2013	2014	საშუალო 2012-2014 წწ.	2012	2013	2014	საშუალო 2012-2014 წწ.
კახეთი	-18.4%	5.9%	17.0%	1.5%	-9.9%	13.0%	10.6%	4.6%
თბილისი	-2.7%	3.6%	7.9%	2.9%	-14.0%	7.0%	-7.6%	-4.9%
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	20.3%	5.5%	16.7%	14.2%	-10.8%	10.9%	13.7%	4.6%
ქვემო ქართლი	8.4%	3.8%	0.4%	4.2%	-14.5%	6.9%	14.8%	2.4%
აჭარა	10.8%	4.4%	8.3%	7.8%	-4.5%	18.8%	8.3%	7.5%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	15.3%	15.1%	7.2%	12.5%	-30.7%	28.1%	4.2%	0.5%
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7.9%	0.8%	3.5%	4.1%	-22.4%	11.0%	7.1%	-1.4%
სამცხე-ჯავახეთი	13.5%	6.8%	5.2%	8.5%	-27.7%	35.2%	35.2%	14.2%
გურია	21.5%	6.8%	7.2%	11.9%	-5.4%	-6.0%	31.9%	6.8%

ცხრილი 4: ეკონომიკური აქტივობის შეფასების არაპირდაპირი ინდიკატორები (2012-2014 წწ.) წყარო: საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.



დიაგრამა 3: ახლად რეგისტრირებულ აქტიურ საწარმოთა %-ლი განაწილება მხარეების მიხედვით(2014 წ.)

2014 წლის მდგომარეობით მხარეთა უმრავლესობისთვის ელექტროენერჯის მოხმარების ზრდის ტემპი გაიზარდა. რაც შეეხება 2012-2014 წლების საშუალო მაჩვენებელს, ცალკეული მხარეების დონეზე:

- ყველაზე მაღალი მაჩვენებლით შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი (14.2%); სამეგრელო და ზემო სვანეთი (12.5%) გამოირჩევა
- ყველაზე დაბალი მაჩვენებლით იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (4.1%); ქვემო ქართლი (4.2%) ხასიათდება

რაც შეეხება ცალკეული მხარეების დონეზე ახლადრეგისტრირებულ აქტიურ საწარმოთა რაოდენობის საშუალო ზრდის ტემპს (2012-2014წწ):

- ყველაზე მაღალი მაჩვენებლით სამცხე-ჯავახეთი (14.2%) და აჭარა (7.5%) გამოირჩევა
- უარყოფითი მაჩვენებლით თბილისი (-4.9%) და იმერეთი რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (-1.4%) ხასიათდება

მიუხედავად ზრდის უარყოფითი ტემპისა, აგრეგატულ დონეზე ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა ყველაზე დიდი რაოდენობით თბილისი გამოირჩევა, ყველაზე მცირე რაოდენობით კი - გურიის მხარე (2014 წლისათვის საქართველოს მასშტაბით ახლადრეგისტრირებული აქტიურ საწარმოთა 38% თბილისში არის კონცენტრირებული, ხოლო გურიაში - მხოლოდ 1%). აქვე აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მდგომარეობით, სამართლებრივი ფორმების მიხედვით ახლადრეგისტრირებული აქტიური საწარმოთა ძირითად ნაწილს ინდივიდუალური მეწარმეები (58.1%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები წარმოადგენს (40.1%).

საქართველოს მხარეების მიხედვით მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ანალიზისას, აუცილებელია განხილულ იქნას შრომის ბაზრის ძირითადი ინდიკატორები. 2014 წლის მდგომარეობით საქართველოს მხარეების მიხედვით, უმუშევრობის, დასაქმებისა და აქტივობის საშუალო დონის მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში 5.

აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზისას მნიშვნელოვანია განხილულ იქნას შრომითი ეკონომიკის ისეთი ცნებები, როგორებიც არის უმუშევრობის ბუნებრივი დონე და უმუშევრობის განსხვავებული ტიპები.

- უმუშევრობის ბუნებრივი დონე არის უმუშევრობის ის დონე, რომელიც შენარჩუნებულია ეკონომიკის გრძელვადიან პერიოდში და შესაბამისად, არ ითვალისწინებს ეკონომიკის ციკლურ გავლენებს.

უმუშევრობის ბუნებრივ დონეს კი უმუშევრობის ცალკეული ტიპები<sup>6</sup>, კერძოდ კი ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის დონე განსაზღვრავს.

- ფრიქციული უმუშევრობა (*frictional unemployment*) გამოწვეულია შესაფერისი სამუშაო ადგილის ძიების ხანგრძლივობით, შესაბამისად იგი დამოკიდებულია შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე.
- სტრუქტურული უმუშევრობა (*structural unemployment*) კი სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სტრუქტურის ცვლილებით არის გამოწვეული, რაც, მაგალითისთვის, ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილების გავლენით სამუშაო ძალის უნარ-ჩვევებზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსს შესაძლებელია უკავშირდებოდეს.

<sup>6</sup> ეკონომიკური თეორიის თანახმად, არსებობს 3 სახის უმუშევრობა: ფრიქციული, სტრუქტურული და ციკლური. თუმცა ციკლური უმუშევრობა არ ახდენს გავლენას უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე, ვინაიდან უმუშევრობის ბუნებრივი დონე ეს უმუშევრობის ის დონეა რომელიც ეკონომიკის ციკლურ გავლენებს გამორიცხავს.

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარა	სამეგრელო და ზემო სვანეთი	იმერეთი <sup>7</sup>	დანარჩენი მხარეები <sup>8</sup>
<b>უმუშევრობის დონე<sup>9</sup></b>	<b>5.2%</b>	<b>22.5%</b>	<b>8.2%</b>	<b>9.5%</b>	<b>15.8%</b>	<b>13.4%</b>	<b>10.1%</b>	<b>5.1%</b>
უმუშევართა წილი მოსახლეობაში	3.7%	12.0%	6.0%	6.5%	10.9%	9.3%	7.1%	3.9%
<b>აქტივობის დონე</b>	<b>72.0%</b>	<b>53.5%</b>	<b>72.8%</b>	<b>68.9%</b>	<b>68.6%</b>	<b>69.3%</b>	<b>70.6%</b>	<b>76.3%</b>
<b>დასაქმების დონე</b>	<b>68.3%</b>	<b>41.5%</b>	<b>66.8%</b>	<b>62.4%</b>	<b>57.8%</b>	<b>60.0%</b>	<b>63.5%</b>	<b>72.4%</b>
დასაქმების დონე თვითდასაქმებულთა ამორიცხვით	16.7%	33.6%	18.9%	21.2%	23.9%	19.7%	19.6%	17.5%

**ცხრილი 5:** მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა მხარეების მიხედვით (2014 წწ.) (წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

2014 წლის მდგომარეობით მხარეების მიხედვით დასაქმების დონესთან დაკავშირებით შემდეგი ტენდენციები ვლინდება:

- დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით თბილისი და აჭარა ხასიათდება
- დასაქმების ყველაზე მაღალი დონე სამცხე-ჯავახეთი, გურია და მცხეთა-მთიანეთის მხარეთათვის ვლინდება

თუმცა, აღნიშნული ტენდენცია დასაქმებულთა რიცხოვნობაში თვითდასაქმებულთა მაღალი წილით (საშუალოდ 63%) აიხსნება. ამ შემთხვევაში გამოირჩევა თბილისი, სადაც თვითდასაქმებულები დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ 19%-ს შეადგენს. შესაბამისად, დასაქმების დონის თვითდასაქმებულთა ამორიცხვით განხილვის შემთხვევაში, საპირისპირო შედეგი ვლინდება, შესაბამისად:

- თვითდასაქმებულთა ამორიცხვით, დასაქმების დონის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეები ხასიათდება
- თვითდასაქმებულთა ამორიცხვით, დასაქმების დონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით კი თბილისი გამოირჩევა

დასაქმების დონის წარმოდგენილი ტენდენციების გათვალისწინებით, 2014 წლის მდგომარეობით მხარეების მიხედვით უმუშევრობის დონის:

- ყველაზე მაღალი მაჩვენებლით თბილისი ხასიათდება
- ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის<sup>10</sup> მხარეები გამოირჩევა

აქვე აღსანიშნავია, რომ 2010-2014 წლების განმავლობაში, უმუშევართა წილი მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შემცირდა თბილისისა და კახეთის მხარისთვის, თუმცა განსხვავებული კომპონენტების დინამიკის გავლენით, კერძოდ:

- თბილისისთვის უმუშევრობის წილის შემცირება დასაქმების ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანწილად უკავშირდება სამუშაო ძალის შემცირებას (სამუშაო ძალის გარეთ

<sup>7</sup> ასევე მოიცავს რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს

<sup>8</sup> მოიცავს სამცხე-ჯავახეთს, გურიასა და მცხეთა-მთიანეთს

<sup>9</sup> უმუშევრობის დონე გაიანგარიშება უმუშევართა რაოდენობის სამუშაო ძალასთან ფარდობით, ხოლო აქტივობისა და დასაქმების დონე აქტიური მოსახლეობისა და დასაქმებულთა რაოდენობის მოსახლეობასთან ფარდობით.

<sup>10</sup> ასევე მოიცავს გურიასა და მცხეთა-მთიანეთის მხარეს

მოსახლეობის ზრდა), ვინაიდან მართალია დასაქმებულთა რაოდენობა საშუალოდ 1.7%-ით იზრდება, თუმცა ასევე იზრდება სამუშაო ძალის გარეთ მოსახლეობის რაოდენობა (1.3%-ით)

- კახეთის შემთხვევაში კი აღნიშნული ძირითადად დასაქმებულთა ზრდის შედეგია

რაც შეეხება უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელს 2010-2014 წლებისთვის, ამ მხრივ საინტერესო ტენდენციას ავლენს მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, ყველაზე მცირე (შიდა ქართლი და აჭარა) და დიდი (თბილისი და იმერეთი) მხარეები, კერძოდ:

- ყველაზე მცირე და დიდი მხარეებისთვის უმუშევრობის საშუალო დონე - 19%, 5%-ული პუნქტით მაღალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან - 14%, შედარებით
- დანარჩენი მხარეებისთვის კი უმუშევრობის საშუალო დონე - 10%, 4%-ული პუნქტით ნაკლებია მოცემულ ნიშნულზე.

ამავე პერიოდის საშუალო დასაქმების მაჩვენებლებთან მიმართებაში, შემდეგი ტენდენცია ვლინდება:

- დასაქმების საშუალო დონე მცირე ზომის მხარეებისთვის 4%-ული პუნქტით მაღალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან (56%) შედარებით
- დიდი ზომის მხარეებისთვის კი დასაქმების საშუალო დონე 5%-ული პუნქტით ნაკლებია მოცემულ ნიშნულზე

თუ დავუშვებთ, რომ უმუშევრობის დონის ძირითად კომპონენტს უმუშევრობის ბუნებრივი დონე წარმოადგენს, ზემოთ აღნიშნული ტენდენცია შესაძლოა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ყველაზე დიდ მხარეებში (ქ. თბილისი და იმერეთი) სტრუქტურული უმუშევრობის არსებობაზე მიუთითებდეს. კერძოდ, აღნიშნული მხარეებისთვის უმუშევრობის საშუალო დონე მნიშვნელოვნად მაღალია, ხოლო დასაქმების საშუალო დონე მნიშვნელოვნად მცირე ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, რაც შრომის ბაზარზე მოთხოვნის სტრუქტურის ცვლილების შედეგად შეუსაბამობის ზრდას შეიძლება უკავშირდებოდეს. თუმცა თუ დავუშვებთ, რომ უმუშევრობის დონეზე არსებით გავლენას არა მისი ბუნებრივი დონე, არამედ ეკონომიკის ციკლური ცვლილებები იწვევს, აღნიშნული ტენდენცია შესაძლოა არსებული ეკონომიკის ციკლის მოკლევადიანი შედეგი იყოს.

შრომის ბაზრის ინდიკატორებთან ერთად, საინტერესოა განხილულ იქნას მხარეების მიხედვით შინამეურნეობათა საშუალო თვიური შემოსავლებისა<sup>11</sup> და ხარჯების<sup>12</sup> ძირითადი მიმართულებები. 2011-2014 წლებისთვის მხარეებისათვის შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლის ძირითად კომპონენტს (ჯამური შემოსავლების 70%-ზე მეტი) ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები წარმოადგენს. არსებითია ის ფაქტიც, რომ ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერების უმეტეს წილს საქართველოს მხარეთა უმრავლესობისთვის (გარდა თბილისის, აჭარისა და ქვემო ქართლისა) პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები და საჩუქრად მიღებული ფული შეადგენს. ამ მხრივ:

- დამოკიდებულების ყველაზე მაღალი დონით კახეთი (42.4%) გამოირჩევა
- დამოკიდებულების ყველაზე დაბალი დონით თბილისი (25.5%) ხასიათდება

<sup>11</sup> შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი მოიცავს ფულად შემოსავლებს, ტრანსფერებსა და არაფულად შემოსავლებს


<sup>12</sup> შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი მოიცავს სამომხმარებლო ფულად ხარჯებს, არასამომხმარებლო ფულად არჯებსა და არაფულად ხარჯებს

რაც შეეხება შინამეურნეობების საშუალო თვიურ ხარჯებს, ამ შემთხვევაშიც გაწეული დანახარჯების ძირითად მიმართულებას (ჯამური ხარჯების 55%-ზე მეტი) სამომხმარებლო ფულადი ხარჯები წარმოადგენს. ამასთან, გამომდინარე იქიდან რომ შინამეურნეობების შემოსავლის ზრდასთან ერთად მცირდება საშუალო თვიურ ხარჯებში პირველადი მოხმარების საგნებზე<sup>13</sup> გაწეული დანახარჯები და იზრდება ისეთი არასამომხმარებლო ფულადი ხარჯების წილი როგორც არის დაზოგვის, გასესხებისა და ქონების შეძენის მიმართულებით გაწეული დანახარჯები, საინტერესოა აღნიშნული მაჩვენებლების დინამიკაც. კერძოდ:

- ყველა მხარისთვის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების უმეტეს წილს სწორედ პირველადი მოხმარების საგნებზე გაწეული დანახარჯები შეადგენს
- არასამომხმარებლო ფულადი ხარჯების ძირითად კომპონენტს კი დაზოგვის, გასესხებისა და ქონების შეძენის მიმართულებით გაწეული ხარჯები შეადგენს

მნიშვნელოვანია, რომ მხარეთა უმრავლესობისთვის პირველადი მოხმარების საგნებზე გაწეული დანახარჯები კლების, თუმცა დაზოგვის, გასესხებისა და ქონების შეძენის მიზნით გაწეული ხარჯები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამ მხრივ, განსხვავებულია შიდა ქართლის მხარე, რომლისთვისაც პირველადი საგნებზე გაწეული დანახარჯები საშუალოდ 1.2%-ით იზრდება, ხოლო დაზოგვის, გასესხებისა და ქონების შეძენის მიმართულებით გაწეული ხარჯები საშუალოდ 3.4%-ით მცირდება.

შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლებისა და ხარჯების აღნიშნული კომპონენტების დინამიკა საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია დიაგრამაზე 4.



**დიაგრამა 4:** საქართველო: შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლებისა და ხარჯების ძირითადი კომპონენტების დინამიკა (2011 -2014 წწ.)

ამასთან, მნიშვნელოვანია განხილულ იქნას შინამეურნეობების ეკონომიკური სტაბილურობაც, რაც შესაძლოა განისაზღვროს მათი შემოსავლებისა და ხარჯების ცვალებადობის კოეფიციენტით. **ცვალებადობის კოეფიციენტი** წარმოადგენს სტანდარტული გადახრის შეფარდებას საშუალო არითმეტიკულთან და ზომავს გადახრათა პროცენტულ მნიშვნელობას. ამ მხრივ, აღნიშნული კოეფიციენტი უზრუნველყოფს მონაცემთა შესადარისობას მაშინაც კი თუ მათი საშუალო არითმეტიკული მნიშვნელოვნად განსხვავდება. რაც უფრო დაბალია ცვალებადობის კოეფიციენტი, მით უფრო მაღალია მონაცემთა სტაბილურობა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ თბილისის საშუალოდ შინამეურნეობების თვიური შემოსავლის ყველაზე მაღალი დონით ხასიათდება (იხ ცხრილი 2), ამ

<sup>13</sup> პირველადი მოხმარების საგნებში მოიაზრება სურსათი, სასმელი, თამბაქო, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საოჯახო მოხმარების საქონელი, გათბობა და ელექტროენერგია, ტრანსპორტი და ჯანმრთელობის დაცვა.

შემთხვევაში მაღალია აღნიშნული მაჩვენებლის ცვალებადობის კოეფიციენტიც, რაც შინამეურნეობების ეკონომიკურ სტაბილურობაზე შესაძლოა ნეგატიურად აისახებოდეს. ამ მხრივ გამოირჩევა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეები, რომელიც შინამეურნეობების მაღალი საშუალო თვიური შემოსავლითა და ცვალებადობის დაბალი კოეფიციენტით ხასიათდება.

შინამეურნეობების ეკონომიკური სტაბილურობა		
მხარე	შემოსავლის ცვალებადობის კოეფიციენტი	ხარჯების ცვალებადობის კოეფიციენტი
კახეთი	0.20	0.20
თბილისი	0.17	0.17
შიდა ქართლი	0.12	0.12
ქვემო ქართლი	0.16	0.17
აჭარა	0.14	0.15
სამეგრელო და ზემო სვანეთი	0.17	0.15
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.11	0.11
სამცხე-ჯავახეთი, გურია და მცხეთა-მთიანეთი	0.12	0.11

ცხრილი 6: შინამეურნეობების ეკონომიკური სტაბილურობა (2011-2014 წწ).

მხარეების ცხოვრების დონისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ანალიზისას მნიშვნელოვანია შეფასდეს სიღარიბის დონე. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეების წილი მთლიან მოსახლეობაში სიღარიბის დონის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს. რაც შეეხება სიღარიბის ზღვარს, იგი სამომხმარებლო ხარჯების (ან შემოსავლების) იმ მინიმალურ დონეს წარმოადგენს, რომელიც აუცილებელია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამომხმარებლო კალათის შესაძენად. სიღარიბის ზღვარი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პირობებიდან გამომდინარე განისაზღვრება და შესაბამისად მისი სიდიდე განსხვავებულია ქვეყნებს შორის. მოცემულ ანგარიშში ცალკეული მხარეების დონეზე სიღარიბის შესაფასებლად წარმოდგენილია საარსებო შემწეობის მიმღებთა წილი ამავე მხარის მოსახლეობაში.


2015 წლის მონაცემების საფუძველზე საქართველოსათვის საარსებო შემწეობის მიმღებთა წილი დაახლოებით 10%-ს შეადგენს.<sup>14</sup> მხარეების დონეზე, აღნიშნული მაჩვენებლის ანალიზისას ვლინდება, რომ 2015 წლისათვის

- საარსებო შემწეობის მიმღებთა ყველაზე მაღალი წილი მოსახლეობაში რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია. კერძოდ, 2015 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 43%-ს შეადგენს, რაც 2011 წელთან შედარებით 9.6 %-ული პუნქტით არის გაზრდილი.
- საარსებო შემწეობის მიმღებთა ყველაზე დაბალი წილით მოსახლეობაში სამცხე-ჯავახეთი გამოირჩევა, რომლისთვისაც აღნიშნული მაჩვენებელი 5 %-ს უტოლდება

ამასთან აღსანიშნავია, რომ 2015 წლისათვის საარსებო შემწეობის მიმღებთა წილობრივი მაჩვენებლის ზრდა ძირითადად გამოწვეულია მთლიანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით. კერძოდ,

<sup>14</sup> საარსებო შემწეობის მიმღებთა წილი მოსახლეობაში გაანგარიშებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების საფუძველზე

საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის რიცხოვნობა 2015 წელს 2011 წელთან შედარებით 16.6%-ით არის შემცირებული, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 9.4%-ით.



**დიაგრამა 5:** სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის %-ული წილი მთლიან მოსახლეობაში მხარეების მიხედვით (2015 წ.)

## ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობა - მარგი ქმედების ანალიზის სისტემა (PEFA)

ეფექტიანი საბიუჯეტო პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას მისი სანდოობა წარმოადგენს, რის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმსაც წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებლების მათი დაგეგმილი დონიდან გადახრა. ზემოაღნიშნული პროცესის შეფასებისათვის ქვემოთწარმოდგენილია 2012-2015 წლების განმავლობაში, აგრეგატულ დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობების<sup>15</sup> ჯამური საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივ მაჩვენებელთა დაგეგმილი დონიდან გადახრა. აღნიშნული მაჩვენებლების ინტერპრეტირებისას, გასათვალისწინებელია, რომ ქვემოთწარმოდგენილი გეგმური მაჩვენებლები რიგ შემთხვევებში წარმოადგენს დაზუსტებულ გეგმას და შესაძლოა განსხვავდებოდეს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დადგენილი მაჩვენებლისგან.

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილებიდან ვლინდება (იხ. ცხრილი 7 და ცხრილი 8), გეგმური მაჩვენებლებისაგან გადახრა ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. 2015 წლის მდგომარეობით კი აღნიშნული მაჩვენებლები, შესაბამისად, 3.1%-სა და -6.4%-ს შეადგენს.

	2012		2013		2014		2015	
	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი
შემოსულობები	1,800.6	1,814.0	1,752.2	1,716.5	1,735.9	1,778.3	2,059.8	2,124.3
გადახრა (%-ულად)	0.7%		-2.0%		2.4%		3.1%	
შემოსავლები	1,707.8	1,723.7	1,700.5	1,666.7	1,690.6	1,731.2	1,983.2	2,038.2
არაფინანსური აქტივების კლება	85.8	88.7	50.0	48.2	32.3	34.1	57.9	67.8
ფინანსური აქტივების კლება	6.9	1.6	1.7	1.7	13.1	12.9	0.7	0.3
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.2	10.4	10.4	18.0	18.0

**ცხრილი 7:** შემოსულობების ეკონომიკური კლასიფიკაცია (2012-2015 წწ.)

	2012		2013		2014		2015	
	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი
გადასახდელები	1,950.9	1,843.6	1,853.5	1,634.6	1,919.8	1,711.9	2,315.4	2,168.1
გადახრა (%-ულად)	-5.5%		-11.8%		-10.8%		-6.4%	
ხარჯები	1,164.9	1,100.4	1,329.7	1,248.9	1,405.7	1,309.3	1,465.9	1,404.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	692.2	650.1	504.3	366.43	484.1	373.4	734.5	651.1
ფინანსური აქტივების ზრდა	1.9	1.8	0.9	0.8	3.7	3.7	72.6	72.5
ვალდებულებების კლება	91.9	91.3	18.6	18.4	26.4	25.5	42.2	40.1


**ცხრილი 8:** გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია (2012-2015 წწ.)

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობის შეფასების მიზნით, საბიუჯეტო ოფისმა საჯარო ფინანსების მარგი ქმედების ანალიზის სისტემის (PEFA) ჩარჩოზე დაყრდნობით გაიანგარიშა PI-1, PI-2 და PI-3 ინდიკატორები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დონეზე. აღნიშნული ინდიკატორები საშუალებას იძლევა უკანასკნელი სამი წლის მონაცემებზე დაყრდნობით (2013-2015 წწ.) შეფასდეს ბიუჯეტის გადასახდელებისა და შემოსულობების

<sup>15</sup> აღნიშნული მაჩვენებლები ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტ. რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ.

შესრულება გეგმასთან შედარებით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ინდიკატორების განსაზღვრა ნაწილობრივ ეყრდნობა საბიუჯეტო ოფისის ანალიტიკოსთა სუბიექტურ განსჯას ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინების მიზნით პროცესის შესაფასებლად და არ ისახავს მიზნად საჯარო ფინანსების მარგი ქმედების ანალიზის სისტემის (PEFA) ფარგლებში წარმოდგენილი ინდიკატორების ზუსტ კალკულაციას.


PI-1 ინდიკატორი აფასებს ჯამური გადასახდელების (ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება) გადახრას დამტკიცებული გეგმიდან.



დიაგრამა 7: PI-1 ინდიკატორის შედეგების სიხშირეთა გადანაწილება

- A ქულით შეფასდა ის თვითმმართველი ერთეულები რომელთათვისაც ჯამური გადასახდელების შესრულების დონემ გეგმის 95%-105% შეადგინა
- B ქულით შეფასდა ის თვითმმართველი ერთეულები რომელთათვისაც აღნიშნულმა ინტერვალმა 90%-110% შეადგინა
- C ქულით შეფასდა თვითმმართველი ერთეულები რომელთათვისაც ინტერვალმა 85%-115% შეადგინა
- D ქულით შეფასდა ის თვითმმართველი ერთეულები რომელთათვის შესრულების მაჩვენებელმა გეგმის უფრო მცირედი % შეადგინა.


თითოეული თვითმმართველი ერთეულისთვის საბოლოო შეფასება სამი ფისკალური წლის (2013-2015 წწ.) საშუალო შეფასებით გაიანგარიშება.



რუკა 1: PI-1 ინდიკატორი


მნიშვნელოვანია, რომ გადასახდელებისათვის გეგმური მაჩვენებლისაგან გადახრის მაღალი დონის არსებობა შესაძლოა დაგეგმვის პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებდეს. როგორც რუკიდან ჩანს, თვითმმართველ ერთეულთა უმრავლესობა (დაახლოებით 58%) საშუალოზე დაბალი შეფასებით (C და D ქულა) ხასიათდება, რაც გარკვეულწილად შესაძლებელია უკავშირდებოდეს საკუთარი რესურსების (შემოსავლების) მობილიზაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

PI-1 ინდიკატორისგან განსხვავებით, PI-2 ინდიკატორი აფასებს გეგმასა და შესრულებას შორის გადახრას არა აგრეგატულ, არამედ გადასახდელების ცალკეული მუხლების დონეზე. ამ შემთხვევაში ინდიკატორის დასადგენად დაჯამდა ხარჯების, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების (სესხები) ზრდის გეგმიდან გადახრის ქვე-ინდიკატორები. ხარჯების, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის გეგმიდან გადახრის შემთხვევაში:



დიაგრამა 8: PI-2 ინდიკატორის შედეგების სიხშირეთა განაწილება

- A ქულით შეფასდა ის თვითმმართველი ერთეულები რომელთათვისაც გადახრა 5%-ზე ნაკლებს გაუტოლდა
- B ქულით შეფასდა ის თვითმმართველი ერთეულები რომელთათვისაც გადახრა 10%-ზე ნაკლებს გაუტოლდა
- C ქულით შეფასდა ის თვითმმართველი ერთეულები რომელთათვისაც გადახრა 15%-ზე ნაკლებს გაუტოლდა
- D ქულით შეფასდნენ ის თვითმმართველი ერთეულები რომელთათვისაც გადახრის დონემ უფრო დიდი მოცულობა შეადგენდა.




რუკა 2: PI-2 ინდიკატორი

როგორც პირველი ინდიკატორის შემთხვევაში, საბოლოო შეფასება სამი ფისკალური წლის საშუალო შეფასებით გაიანგარიშება.

PI-1 ინდიკატორისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში თვითმმართველ ერთეულთა უმრავლესობა კარგი შედეგით ხასიათდება (A ქულა), რაც შესაძლოა მიუთითებდეს გადასახდელების სტრუქტურასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების არასპონტანურობაზე, თუმცა მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული ინდიკატორის გასაანგარიშებლად მობილიზებული ინფორმაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, შედეგები ეყრდნობა ეკონომიკურ კლასიფიკაციას და არ ითვალისწინებს ვალდებულებების კლების გეგმიდან გადახრის ქვე-ინდიკატორს. PI-2 ინდიკატორის თვითმმართველი ერთეულების განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვე-პროგრამების ანალიზზე დაყრდნობით გაანგარიშების შემთხვევაში შესაძლოა წარმოდგენილიყო განსხვავებული სურათი.

PI-3 ინდიკატორი აფასებს ბიუჯეტის ფაქტობრივი შემოსულობების გადახრას თავდაპირველი დამტკიცებული გეგმიდან. აქვე გასათვალისწინებელია, რომ 2011 წლის PEFA-ს გადამუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებისთვის PI-3 ინდიკატორის გაანგარიშებისას შემოსულობებიდან უნდა გამოირიცხოს ტრანსფერებისა და გრანტების მოცულობა (რომლებიც ასახავს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებულ რესურსებს). შესაბამისად, საბიუჯეტო ოფისის მიერ გაანგარიშებული PI-3 ინდიკატორი ეყრდნობა შემოსულობების მოცულობას გრანტების ამორიცხვით.




დიაგრამა 9: PI-3 ინდიკატორის შედეგების სიხშირეთა განაწილება

- A ქულით ფასდება ის თვითმმართველი ერთეულები რომელთა ფაქტობრივი შემოსულობების მოცულობა (გრანტების ამორიცხვით) შეადგენს თავდაპირველი გეგმის 97%-106%
- B ქულით ფასდება ის თვითმმართველი ერთეულები რომელთათვისაც აღნიშნული ინტერვალი 94%-112% შეადგენს
- C ქულით ფასდება ის თვითმმართველი ერთეულები რომელთათვისაც აღნიშნული ინტერვალი 92%-116% შეადგენს
- D ქულით ფასდება ის თვითმმართველობები რომელთა ფაქტობრივი შემოსულობები (გრანტების ამორიცხვით) დაგეგმილი ბიუჯეტის 92%-ზე დაბალ ან 116%-ზე მაღალ მაჩვენებელს შეადგენს.

საბოლოო შეფასება, ამ შემთხვევაშიც, ბოლო სამი ფისკალური წლის საშუალო შეფასებით გაიანგარიშება.

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ადგილობრივი თვითმმართველობების უმრავლესობამ, კერძოდ 34-მა ერთეულმა, PI-3 ინდიკატორის D შეფასება მიიღო, ხოლო 18-მა ერთეულმა უმაღლესი შეფასება A. აღსანიშნავია, რომ შემოსულობებისათვის ფაქტობრივი მაჩვენებლების დაგეგმილიდან მაღალი გადახრა შესაძლოა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გარკვეულ ხარვეზებზე მიუთითებდეს.




რუკა 3: PI-3 ინდიკატორი

## ძირითადი ფისკალური ინდიკატორები

ფისკალური დეცენტრალიზაცია, რაც ქვეყნის ფისკალური და ინსტიტუციონალური მოწყობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, არსებით გავლენას ახდენს ხელისუფლების სხვადასხვა დონის ერთეულების ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესზე, რაც თავის მხრივ აისახება საჯარო სექტორის საქმიანობის ეფექტიანობაზე. საქართველოს მხარეთათვის და ასევე ცალკეული თვითმმართველობებისათვის ფისკალური მდგომარეობის შესაფასებლად ანგარიშში წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი ინდიკატორები: გრანტების წილი შემოსულობებში, მობილიზებული გადასახადების ხარჯებთან ფარდობა, სახელმწიფო რესურსების მოხმარებისა და ხარჯების წილობრივი მაჩვენებლები გადასახდელებსა და ხარჯებში, თვითმმართველ ერთეულებში დასაქმებულთა წილი შესაბამისი მხარის მოსახლეობაში, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული შემოსულობებისა და გადასახდელების კომპონენტები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაჩვენებლები ვერ ასახავს ქვეყნის ფისკალური მოწყობის ყველა მნიშვნელოვან ასპექტსა და კომპლექსურობას, მათი დახმარებით შესაძლოა ამ კუთხით ზოგადი სურათისა და ტენდენციების წარმოდგენა.

## შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა და დინამიკა 2011-2015 წლებისათვის წარმოდგენილია დიაგრამაზე #10, რომლის მიხედვითაც, 2015 წლის მდგომარეობით შემოსულობების მოცულობა გასულ წელთან შედარებით 19.5%-ით გაიზარდა, ძირითადად შემოსავლების ზრდის გავლენით.




დიაგრამა 10: შემოსულობები აგრეგატულ დონეზე ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, მლნ ლარი, 2011-2015 წწ.


თვითმმართველი ერთეულების შემოსულობების მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შესაძლებელია განისაზღვროვს თვითმმართველობების მოთხოვნა რესურსებისადმი და მათი შესაძლებლობა მოიმარაგონ ფულადი რესურსები. მთლიანი შემოსულობების მოსახლეობის რაოდენობასთან ფარდობის მაღალი მაჩვენებელი და მზარდი ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას ეფექტურად ფუნქციონირებისათვის საკმარისი რესურსები გააჩნია. წინა წელთან შედარებით 2015 წელს შემოსულობებისა და შემოსავლების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე ყველა მხარისათვის გაიზარდა, რაც ერთი მხრივ შემოსულობებისა და შემოსავლების ზრდამ,

ხოლო, მეორე მხრივ მოსახლეობის შემცირებამ გამოიწვია (იხ, დიაგრამა #11 და #12). ამასთან, 2015 წლისათვის:

- მოსახლეობის ერთ სულზე შემოსულობებისა და შემოსავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით აჭარის თვითმმართველობები, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო ქართლის მხარე და თბილისის გამოირჩევა
- მოსახლეობის ერთ სულზე შემოსულობებისა და შემოსავლების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ქვემო და შიდა ქართლის მხარეები ხასიათდება



**დიაგრამა 11:** საქართველოს მხარეების ბიუჯეტის შემოსულობები ერთ სულ მოსახლეზე (2015 წ.)




**დიაგრამა 12:** საქართველოს მხარეების მთლიანი შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე (2015 წ.)

ამასთან, მოსახლეობის ერთ სულზე საგადასახადო შემოსავლების რაოდენობის განსაზღვრით შესაძლებელია შეფასდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფისკალური დამოუკიდებლობა. კერძოდ, აღნიშნული მაჩვენებლის მაღალი დონე და მზარდი ტენდენცია შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ თვითმმართველი ერთეული ნაკლებად არის დამოკიდებული დაფინანსების წყაროებზე, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტზე. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ:


- მოსახლეობის ერთ სულზე საგადასახადო შემოსავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით აჭარა (ავტონომიურ რესპუბლიკა და თვითმმართველობები) და თბილისი გამოირჩევა

- მოსახლეობის ერთ სულზე საგადასახადო შემოსავლების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე ხასიათდება



დიაგრამა 13: საქართველოს მხარეების საგადასახადო შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე (2015 წ.)

თავის მხრივ, შემოსავლების სტრუქტურის (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) ანალიზისას ვლინდება, რომ შემოსავლების უდიდესი წილი გრანტების სახით მიიღება. შესაბამისად, მაღალია გრანტების (გრანტები მოიცავს ფონდებიდან მიღებულ ტრანსფერებს, სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებულ ტრანსფერებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან გამოყოფილ ტრანსფერებს და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობებიდან მიღებული გრანტებს) წილი შემოსულობებშიც. თუმცა, აღნიშნული მაჩვენებელი კლებადი ტენდენციით ხასიათდება და 2015 წლის მდგომარეობით 58.6%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა 14).




დიაგრამა 14: გრანტების წილი შემოსულობებში, 2011-2015 წწ

ხოლო, ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსების წყაროებზე დამოკიდებულების ხარისხის განსასაზღვრად და იმის შესაფასებლად, თუ როგორ შეუძლიათ მათ საკუთარი შემოსულობებით ხარჯების დაფინანსება, მნიშვნელოვანია მოსახლეობის ერთ სულზე გრანტების მოცულობისა და ბიუჯეტის შემოსულობებში გრანტების წილობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა. საქართველოს მხარეებისთვის (იხ. დიაგრამა #15):


- მოსახლეობის ერთ სულზე გრანტების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე ხასიათდება

- მოსახლეობის ერთ სულზე გრანტების ყველაზე დაბალი მაჩვენებელით კი ქვემო ქართლი გამოირჩევა (ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული აჭარის ა.რ-ის მაჩვენებელი)



დიაგრამა 15: საქართველოს მხარეების გრანტები ერთ სულ მოსახლეზე (2015 წ.)

თვითმმართველი ერთეულების დონეზე შემოსულობებში გრანტების %-ული წილის სიხშირეთა გადანაწილება წარმოდგენილია დიაგრამაზე #16. როგორც დიაგრამიდან ვლინდება, 2015 წლის მდგომარეობით შემცირდა იმ თვითმმართველი ერთეულების რაოდენობა, რომელთათვისაც გრანტების %-ული წილი შემოსულობებში 80%-ს აღემატება, თუმცა, გაიზარდა იმ თვითმმართველი ერთეულების რაოდენობა, რომელთათვისაც აღნიშნული მაჩვენებელი 70%-80% ინტერვალშია მოთავსებული. კერძოდ, 51 თვითმმართველი ერთეულისთვის გრანტების %-ული წილი შემოსულობებში 70%-ს აღემატება, აქედან კი 14 ერთეულისთვის აღნიშნული მაჩვენებლის მოცულობა 90%-ზე მაღალია.




დიაგრამა 16: გრანტების %-ული წილი შემოსულობებში: სიხშირეთა განაწილება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის (2013-2015 წწ.)

თვითმმართველი ქალაქებისთვის გრანტების %-ული წილი შემოსულობებში (2014-2015წწ.) წარმოდგენილია დიაგრამა #17-ზე:

- ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ქ. ამბროლაური გამოირჩევა

➤ ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კი ქ. ფოთი ხასიათდება



დიაგრამა 17: გრანტების %-ული წილი შემოსულობებში თვითმმართველი ქალაქებისთვის (2014-2015 წწ)

რაც შეეხება ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დონეზე გრანტების წილობრივ მაჩვენებელს შემოსულობებში, 2015 წლისათვის:

- მაქსიმალური მაჩვენებელი 97.4%-ს შეადგენს (ლენტეხის მუნიციპალიტეტი)
- მინიმალური მაჩვენებელი 2.9%-ს შეადგენს (აჭარის ა.რ.)

ამასთან, 2015 წლის მდგომარეობით გრანტების შემოსულობებში %-ული წილის საშუალო მნიშვნელობა შემცირების ტენდენციას ავლენს და 74.8%-ს უტოლდება (იხ. ცხრილი #9). აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე მაღალი ნიშნულის მქონე 10 თვითმმართველი ერთეული წარმოდგენილია ცხრილში #10.

	2011	2012	2013	2014	2015
გრანტების წილი შემოსულობებში	62.8%	64.3%	62.3%	59.4%	57.7%
მინიმუმი	7.8%	8.3%	23.0%	16%	15.4%
მაქსიმუმი	97.3%	97.3%	98.6%	96.9%	97.7%
საშუალო	72.1%	76.3%	77.4%	76.1%	75.9%

ცხრილი 9: გრანტების %-ული წილი შემოსულობებში, 2011-2015 წწ.


თვითმმართველი ერთეულები	გრანტების წილი შემოსულობებში
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	97.4%
ცაგერის მუნიციპალიტეტი	96.5%
ხონის მუნიციპალიტეტი	95.7%
ონის მუნიციპალიტეტი	94.9%
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	94.1%
ქალაქი ამბროლაური	93.6%
მარტვილის მუნიციპალიტეტი	93.4%
ქედის მუნიციპალიტეტი	92.3%
თიანეთის მუნიციპალიტეტი	91.6%
ადიგენის მუნიციპალიტეტი	91.3%

ცხრილი 10: გრანტების %-ული წილი შემოსულობებში - 10 ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (2015 წ.)

## გადასახდელები

2011-2015 წლებისთვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა და დინამიკა წარმოდგენილია დიაგრამაზე #18, რომლის მიხედვითაც:

- ხარჯების წილი ადგ. თვითმმართველი ერთეულების ჯამურ გადასახდელებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და საშუალოდ 69%-ს უტოლდება
- არაფინანსური აქტივების ზრდის (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) წილი ადგ. თვითმმართველი ერთეულების ჯამურ გადასახდელებში კი ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება და საშუალოდ მხოლოდ 27%-ს შეადგენს.



დიაგრამა 18: გადასახდელების დინამიკა აგრეგატულ დონეზე (2011-2015 წწ) მლნ ლარი

ადგილობრივი თვითმმართველობების რესურსების მოხმარება - შრომის ანაზღაურებისა და საქონელი და მომსახურების მუხლით ხარჯები

ვინაიდან ფისკალური მართვის ეფექტიანობა დიდწილად არის დამოკიდებული გადასახდელების სტრუქტურაზე, მნიშვნელოვანია წარმოდგენილ იქნას თვითმმართველი ერთეულების რესურსების მოხმარებისა (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება) და ე.წ. კაპიტალური ხარჯების (არაფინანსური აქტივების ზრდა) შედარებითი ანალიზი. ამ მხრივ საინტერესოა როგორც აღნიშნული მაჩვენებლების ჯამური დინამიკა, ისე თვითმმართველი ერთეულების რესურსების მოხმარებისა და ე.წ. კაპიტალური დანახარჯების ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე.

როგორ წესი ყველა მხარისთვის შრომის ანაზღაურებისა და საქონელი და მომსახურების მუხლით ხარჯები გადასახდელების საკმაოდ მაღალ წილს შეადგენს. 2015 წლის მდგომარეობით მხარეების რესურსების მოხმარების დონე და მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე წარმოდგენილია ცხრილში #11.

მხარეები	მხარეების რესურსების მოხმარება (ათასი ლარი)	მხარეების რესურსების მოხმარება ერთ სულზე (ლარი)	მოხმარების წილი გადასახდელებში
თბილისი	156 613	141.2	16.7%
კახეთი	25 532.2	80.2	25.3%
შიდა ქართლი	24 173.2	91.8	28.7%
ქვემო ქართლი	29 318	69.1	22.6%
აჭარის ა.რ	57 333.3	171.5	40.1%
აჭარის თვითმმართველობები	61 036.9	432.6	28.6%
იმერეთი	38 829.2	72.8	19.4%
სამეგრელო, ზემო სვანეთი	33 582.7	101.6	23.9%
გურია	9 556.9	84.4	15.3%

სამცხე-ჯავახეთი	15 274.4	95.1	23.8%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო-სვანეთი	8 064.9	252.0	24.4%
მცხეთა-მთიანეთი	11 584.8	122.6	24.5%


ცხრილი 11: საქართველოს მხარეების რესურსების მოხმარება (2015 წ.)

როგორც ცხრილიდან ვლინდება:

- მხარეების მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობების რესურსების მოხმარების %-ული წილი გადასახდელებში 17%-40%-ის ინტერვალში მერყეობს
- ბიუჯეტის გადასახდელებში მოხმარების ყველაზე მაღალი წილით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ხასიათდება (40%)
- ბიუჯეტის გადასახდელებში მოხმარების ყველაზე დაბალი წილით თბილისი გამოირჩევა


აღსანიშნავია ისიც, რომ 2014-2015 წლებისთვის საქართველოს მხარეებისთვის ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების ზრდის ტემპი საშუალოდ 21%-ს უტოლდება. ამასთან:

- მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარების ყველაზე მაღალი დონით აჭარა (თვითმმართველობები და ავტონომიური რესპუბლიკა) და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე გამოირჩევა
- მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარების ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით კი სამეგრელო და ზემო სვანეთის მხარე (52%) და შიდა ქართლის მხარე (41%) ხასიათდება



დიაგრამა 19: საქართველოს მხარეების მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (2015 წ.)

ამ კუთხით, ასევე საინტერესოა შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯების დინამიკა. აგრეგატულ დონეზე 2011-2014 წლებში შრომის ანაზღაურების მუხლის %-ული წილი ხარჯებსა და გადასახდელებში




დიაგრამა 20: შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯების დინამიკა (2011-2015 წწ.)

ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა აღნიშნული მაჩვენებლები 2015 წლის მდგომარეობით შემცირებული და, შესაბამისად, 16%-სა და 10%-ს უტოლდება.

რაც შეეხება, მხარეების მიხედვით შრომის ანაზღაურების %-ულ წილს გადასახდელებისა და ხარჯებში, აღსანიშნავია, რომ:

- ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა შიდა ქართლი (16.5% და 25.5% შესაბამისად), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (15% და 29.9% შესაბამისად) და მცხეთა-მთიანეთის მხარეები (14.7% და 25% შესაბამისად)
- თბილისისთვის აღნიშნული მაჩვენებლები კი სხვა მხარეებთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირეა და მხოლოდ 4.5%-სა და 6.6%-ს შეადგენს


ცალკეული მუნიციპალიტეტების დონეზე კი 2013-2015 წლების მდგომარეობით შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯების დინამიკა (%-ული წილი ხარჯებში) კლების ტენდენციას ავლენს. კერძოდ, 2013 წლიდან მნიშვნელოვნად შემცირდა იმ თვითმმართველ ერთეულთა რაოდენობა, რომელთათვისაც შრომის ანაზღაურების წილი ხარჯებში 25%-ზე მეტს უტოლდება.



დიაგრამა 21: შრომის ანაზღაურების %-ული წილი ხარჯებში (2013-2015 წწ)

თვითმმართველი ქალაქებისთვის შრომის ანაზღაურების მუხლის %-ული წილი ხარჯებში წარმოდგენილია დიაგრამაზე #25, რომლის მიხედვითაც :

- ქალაქების უმრავლესობისთვის ხარჯებში შრომის ანაზღაურების %-ული წილი კლების ტენდენციას ავლენს
- გამონაკლისია ქალაქი გორი, ბათუმი და ფოთი, რომელთათვისაც 2015 წლის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი, შესაბამისად, 18%, 10% და 7%-ული პუნქტით გაიზარდა



დიაგრამა 22: შრომის ანაზღაურების %-ული წილი ხარჯებში- თვითმმართველი ქალაქები (2014-2015 წწ)

თვითმმართველი ერთეულები (პირველი ათეული)	შრომის ანაზღაურება %-ულად ხარჯებში	თვითმმართველი ერთეულები (ბოლო ათეული)	შრომის ანაზღაურება %-ულად ხარჯებში
წალკის მუნიციპალიტეტი	40.4%	თბილისი	6.7%
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	37.5%	ქ. ქუთაისი	9.3%
ონის მუნიციპალიტეტი	37.1%	მცხეთის მუნიციპალიტეტი	11.9%
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	35.7%	ქ. რუსთავი	11.9%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	35.0%	ყვარელის მუნიციპალიტეტი	14.7%
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	34.4%	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	15.6%
დმანისის მუნიციპალიტეტი	34.2%	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	15.7%
ასპინძის მუნიციპალიტეტი	32.9%	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	16.8%
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	31.7%	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	16.9%
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	31.5%	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	16.9%

**ცხრილი 12:** შრომის ანაზღაურების %-ული წილი ხარჯებში - ყველაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებლის მქონე 10 თვითმმართველი ერთეული (2015 წ.)

მნიშვნელოვანია ასევე განხილულ იქნას ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსის 156-ე მუხლით განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობა, რომლის მე-2 და მე-3 პუნქტის მიხედვით<sup>16</sup>:

- მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის 10%-ს. იმ თვითმმართველ ერთეულებში, სადაც საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის 10% 5 ერთეულზე ნაკლებია, შესაძლებელია შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობის 5 ერთეულამდე გაზრდა
- გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 25 %-ს

მუნიციპალიტეტთა შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობასთან დაკავშირებით 156-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ლიმიტთან დაკავშირებით, გარკვეული მუნიციპალიტეტებისთვის მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა აღემატება გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის 10%-ს, ხოლო საშუალო მაჩვენებელი 11%-ს უტოლდება. აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისი აღნიშნული შეფასებისას ეყრდნობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის მიწოდებულ ამ დროისათვის არსებულ მონაცემებს და ლიმიტის დასადგენად, მუნიციპალიტეტში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეფარდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის/მერიის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობასთან. შესაძლებელია მონაცემების დაზუსტების შემთხვევაში განსხვავებული სურათი იქნას წარმოდგენილი. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტები, რომელთათვისაც აღნიშნული მაჩვენებელი 10%-ზე მეტია, წარმოდგენილია ცხრილში #13.

ადგილობრივი თვითმმართველობები	შტატგარეშეთა წილი გამგეობის/მერიისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობაში
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	41.01%
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	34.29%
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	19.51%

<sup>16</sup> აღნიშნული არ ვრცელდება თვითმმართველ ქალაქ თბილისზე, აგრეთვე ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და აჟარის მუნიციპალიტეტებზე

თელავის მუნიციპალიტეტი	17.42%
ასპინძის მუნიციპალიტეტი	16.67%
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	14.56%
ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი	14.29%
ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი	14.12%
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	14.00%
მარტვილის მუნიციპალიტეტი	13.18%
ახმეტის მუნიციპალიტეტი	13.11%
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	12.86%
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი	12.71%
დუშეთის მუნიციპალიტეტი	12.63%
ადიგენის მუნიციპალიტეტი	12.35%
ხონის მუნიციპალიტეტი	12.30%
ყვარლის მუნიციპალიტეტი	12.17%
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	11.93%
მესტიის მუნიციპალიტეტი	11.83%
სენაკის მუნიციპალიტეტი	11.76%
თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი	11.63%
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	11.63%
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	11.63%
მცხეთის მუნიციპალიტეტი	11.51%
ხაშურის მუნიციპალიტეტი	11.43%
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	11.29%
ახალგორის მუნიციპალიტეტი	11.29%
ვანის მუნიციპალიტეტი	11.03%
კასპის მუნიციპალიტეტი	11.03%

**ცხრილი 13:** მუნიციპალიტეტები, რომელთათვისაც შტატგარეშეთა %-ული წილი გამგეობის/მერიისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობაში მეტია 10%-ზე

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცხრილში წარმოდგენილი მუნიციპალიტეტებისთვის აღნიშნული ფარდობა 10%-ს აღემატება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მუნიციპალიტეტის ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეეფარდება მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა ჯამურ საშტატო რაოდენობას (საკრებულოს, გამგეობის/მერიის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა)<sup>17</sup>.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მხარეთა უმრავლესობისთვის (გარდა ქვემო ქართლისა და კახეთისა) საჯარო მოსამსახურეთა(არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა ამორიცხვით) ჯამური წილი შესაბამისი მხარის მოსახლეობაში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2015 წლის მდგომარეობით კი:

- აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარისა (2%) და აჭარის თვითმმართველობებისთვის (1%)
- აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ქ. თბილისისთვის (0.2%)

<sup>17</sup> ლიმიტთან შესაბამისობის შესაფასებლად განსხვავებული ინტერპრეტაციით გაანგარიშებული მაჩვენებლები დაინტერესებულ მხარეთათვის შესაძლებელია დამატებით იქნას მიწოდებული.

იმ შემთხვევაში კი, თუ გათვალისწინებული იქნება არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა დასაქმებულთა რაოდენობაც, აღნიშნული წილობრივი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იზრდება. 2015 წლის მდგომარეობით კი:

- ამ შემთხვევაშიც ყველაზე მაღალი მაჩვენებლით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე გამოირჩევა (8%)
- ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კვლავ თბილისი ხასიათდება (1%)

რაც შეეხება არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა დასაქმებულთა ფარდობას თითოეული თვითმმართველი ერთეულის საჯარო მოსამსახურეთა ჯამურ რაოდენობასთან, 2015 წლის მდგომარეობით საშუალო მაჩვენებელი 4-ს უტოლდება. ყველაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებლის მქონე მუნიციპალიტეტები წარმოდგენილია ცხრილში #14:

თვითმმართველი ერთეულები (პირველი ათეული)	ა(ა)იპ შტატების ფარდობა გამგეობა, საკრებულოს შტატებთან	თვითმმართველი ერთეულები (ბოლო ათეული)	ა(ა)იპ შტატების ფარდობა გამგეობა, საკრებულოს შტატებთან
თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი	10.6	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	0.2
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი	8.1	წალკის მუნიციპალიტეტი	1.2
თვითმმართველი ქალაქი ბათუმი	7.7	ონის მუნიციპალიტეტი	1.6
ცაგერის მუნიციპალიტეტი	7.1	დმანისის მუნიციპალიტეტი	1.8
თვითმმართველი ქალაქი ფოთი	6.8	ხულოს მუნიციპალიტეტი	1.8
ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი	6.3	ხობის მუნიციპალიტეტი	1.9
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	5.9	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	1.9
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	5.8	ასპინძის მუნიციპალიტეტი	2.1
ყვარლის მუნიციპალიტეტი	5.7	ადიგენის მუნიციპალიტეტი	2.2
თვითმმართველ ქალაქი რუსთავი	5.7	ახალციხის მუნიციპალიტეტი	2.2

**ცხრილი 14:** ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა ფარდობა მუნიციპალიტეტების გამგეობის/მერიის, საკრებულოს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და სამხედრო აღრიცხვისა და გაქვევის სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობასთან (2015 წ.)

რაც შეეხება 156-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ლიმიტის მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერიისა და საკრებულოს აპარატის შრომის ანაზღაურების ხარჯებთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებით, გარკვეული მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთმოცემულ ცხრილში, გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები აღემატება ხარჯების 25 %-ს. აღნიშნული ლიმიტის გასაანგარიშებლად თითოეული მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯები შეფარდებულ იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფაქტობრივ ჯამურ ხარჯებს. ამ შემთხვევაში საშუალო მაჩვენებელი 16%-ს შეადგენს.

ადგილობრივი თვითმმართველობები	მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერიის და საკრებულოს აპარატის შრომის ანაზღაურების ხარჯების %-ული წილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებში
აფხაზეთის ა/რესპუბლიკა	43.2%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	28.0%
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	27.4%
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	26.0%
ონის მუნიციპალიტეტი	26.0%
აბაშის მუნიციპალიტეტი	25.9%


**ცხრილი 15:** მუნიციპალიტეტები, რომელთათვისაც გამგეობა/მერიის და საკრებულოს აპარატის შრომის ანაზღაურების ხარჯების %-ული წილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებში მეტია 25%-ზე

არაფინანსური აქტივების ზრდა - ე.წ კაპიტალური დანახარჯები


გადასახდელების სტრუქტურის განხილვისას მნიშვნელოვანია ასევე წარმოდგენილი იქნას კაპიტალური დანახარჯების (არაფინანსური აქტივების ზრდა) დინამიკა, ვინაიდან, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, გარდამავალი ეკონომიკისა და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის, ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვნად დიდი გავლენა აქვს კაპიტალური დანახარჯების ცვლილებას, ვინაიდან მას აქვს პირდაპირი ეფექტი აგრეგატულ მოთხოვნაზე. კერძოდ, გრძელვადიან პერიოდში კაპიტალური დანახარჯების ზრდა ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს, მეტწილად დასაქმებულებისა და კერძო კაპიტალის პროდუქტიულობის ზრდის გავლენით.

შესაბამისად, ანგარიშში წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა %-ულად ხარჯებთან და მისი წილი გადასახდელებში როგორც აგრეგატულ, ისე ცალკეული თვითმმართველი ერთეულების დონეზე.

2012-2014 წლების განმავლობაში, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების %-ულად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების აგრეგატულ ხარჯებსა და გადასახდელებთან (იხ. დიაგრამა 23) კლების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა 2015 წლისთვის აღნიშნული ტენდენცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია და მაჩვენებლები, შესაბამისად, 46%-სა და 30%-ს უტოლდება. ანალოგიურ ტენდენციას ავლენს არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის ჯამური დინამიკა %-ულად ჯამურ ხარჯებსა და გადასახდელებთან (იხ. დიაგრამა 24).



დაგრამა 23: არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა (2011-2015 წწ)



დაგრამა 24: არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის ჯამური დინამიკა (2011-2015 წწ)

მხარეების მიხედვით კი, 2015 წლის მდგომარეობით შემდეგი ტენდენციები ვლინდება:


- თბილისისთვის არაფინანსური აქტივების ზრდა %-ულად ხარჯებთან 34%-ს შეადგენს
- საქართველოს დანარჩენი მხარეებისთვის კი აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 65%-ს უტოლდება

მხარეები	არაფინანსური აქტივების ზრდა	არაფინანსური აქტივების ზრდა 1 სულ მოსახლეზე	%-ულად ხარჯებთან
თბილისი	216 380.5	195.1	34.2%
კახეთი	35 258.2	110.6	54.5%
შიდა ქართლი	29 060.9	109.8	53.5%
ქვემო ქართლი	45 992.5	108.2	43.8%
აჭარის ა.რ	33 269.7	99.5	31.6%
აჭარის თვითმმართველობები	81 893.3	580.4	69.1%
იმერეთი	64 873.6	121.6	48.8%

სამეგრელო, ზემო სვანეთი	48 563.8	146.8	53.6%
გურია	29 420.4	259.7	90.5%
სამცხე-ჯავახეთი	30 879.4	192.6	94.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო-სვანეთი	16 269.3	511.6	97.3%
მცხეთა-მთიანეთი	18 990.5	201.4	68.1%

ცხრილი 16: არაფინანსური აქტივების ზრდა (2015 წ.)


რაც შეეხება კაპიტალურ დანახარჯებს მოსახლეობის ერთ სულზე, ამ შემთხვევაში ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის მხარეები გამოირჩევა ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით - 108.2 და 109.8 ლარი შესაბამისად, მაშინ როდესაც საშუალო მაჩვენებელი 220 ლარს უტოლდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2015 წლისთვის მოსახლეობის ერთ სულზე კაპიტალური დანახარჯების ზრდის ტემპი, საქართველოს ყველა მხარისთვის, დადებითი ზრდის ტემპით ხასიათდება.



დიაგრამა 25: არაფინანსური აქტივების ზრდა ერთ სულ მოსახლეზე (2015 წ.)


ასევე მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ბიუჯეტის გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის %-ული წილის დინამიკა ცალკეული მუნიციპალიტეტების დონეზე, რაც წარმოდგენილია სიხშირეთა გადანაწილების სახით დიაგრამაზე #26.

- ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე 10 თვითმმართველი ერთეულისთვის კაპიტალური დანახარჯები გადასახდელების საშუალოდ 24%-ს შეადგენს, ამ შემთხვევაში გამოირჩევა თიანეთის მუნიციპალიტეტი, რომლისთვისაც კაპიტალური დანახარჯების წილი გადასახდელებში (21.5%) საშუალოდ ყველაზე დიდი გადახრით ხასიათდება.
- ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე 10 თვითმმართველი ერთეულისთვის კი კაპიტალური დანახარჯები გადასახდელების საშუალოდ 56%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოდ ყველაზე დიდი გადახრით ახალციხის მუნიციპალიტეტი ხასიათდება (61%).



დიაგრამა 26: არაფინანსური აქტივების ზრდის %-ული წილი ხარჯებში (2013-2015 წწ.)

თვითმმართველი ქალაქებისათვის, კაპიტალური დანახარჯების (არაფინანსური აქტივების ზრდა) ფარდობა ხარჯებთან წარმოდგენილია დიაგრამაზე 27.



დიაგრამა 27: არაფინანსური აქტივების ზრდა %-ული წილი გადასახდელებში - თვითმმართველი ქალაქები

თვითმმართველი ქალაქებისთვის საშუალო მაჩვენებელი 30%-ს უტოლდება, ამ შემთხვევაში ყველაზე მაღალი დადებითი გადახრით ქალაქი ახალციხე, ოზურგეთი და ქუთაისი ხასიათდება.

თვითმმართველი ერთეულები (პირველი ათეული)	არაფინანსური აქტივების ზრდა %-ულად გადასახდელებთან	თვითმმართველი ერთეულები (ბოლო ათეული)	არაფინანსური აქტივების ზრდა %-ულად გადასახდელებთან
ახალციხის მუნიციპალიტეტი	60.9%	თიანეთის მუნიციპალიტეტი	21.5%
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	56.7%	ქ. ფოთი	22.3%
ონის მუნიციპალიტეტი	56.1%	თბილისი	23.1%
მესტიის მუნიციპალიტეტი	56.0%	აჭარის ა.რ.	23.3%
ასპინძის მუნიციპალიტეტი	55.7%	ხობის მუნიციპალიტეტი	23.4%
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	54.9%	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	23.8%
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	54.4%	ქ. რუსთავი	24.0%
დუშეთის მუნიციპალიტეტი	54.3%	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	25.5%
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	54.1%	ყვარელის მუნიციპალიტეტი	25.6%
დმანისის მუნიციპალიტეტი	52.8%	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	27.3%

ცხრილი 17: არაფინანსური აქტივების ზრდა %-ული წილი გადასახდელებში - ყველაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებლის მქონე 10 თვითმმართველი ერთეული (2015 წ.)

### გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაცია<sup>18</sup>


ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები(შემდგომში, დანახარჯები) იყოფა გამოყენების მიზნობრიობის მიხედვით და შესაბამისად, ფუნქციონალური კლასიფიკაციის გამოყენება მიზანშეწონილია იმის შესაფასებლად, თუ როგორ ნაწილდება რესურსები სხვადასხვა ფუნქციონალურ მიმართულებას შორის. დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მოიცავს შემდეგ ძირითად ფუნქციურ მიმართულებებს:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება
- ეკონომიკური საქმიანობა
- ჯანმრთელობის დაცვა
- სოციალური დაცვა
- დასვენება, კულტურა და რელიგია
- განათლება
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა
- სხვა (თავდაცვა, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება)

2015 წელს აგრეგატულ დონეზე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დანახარჯების ჯამური მოცულობის ზრდა ძირითადად უკავშირდება დასვენების, კულტურისა და რელიგიის მხრივ განხორციელებული დანახარჯების ზრდას. ასევე აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ნომინალურ გამოსახულებაში თითქმის ყველა ფუნქციონალური მიმართულებით გაწეული დანახარჯები ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. რაც შეეხება წილობრივ მაჩვენებლებს, **2011-2015 წლების მდგომარეობით დანახარჯებში ყველაზე მაღალი წილით ეკონომიკური საქმიანობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება გამოირჩევა. თუმცა, ბოლო წლებში აღნიშნული მაჩვენებლები ძირითადად კლების ტენდენციას ავლენს: კერძოდ, 2012 წელთან შედარებით 2015 წლის მდგომარეობით ეკონომიკური საქმიანობის %-ლი წილი მთლიან დანახარჯებში 25.2%-დან 18.8%-მდე, საბინაო-კომუნალური მეურნეობის წილი 24.1%-დან 17.1%-მდე, ხოლო საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების წილი 17.1%-დან 13.7%-მდე შემცირდა. ამასთან, განათლებისა და დასვენების, კულტურისა და რელიგიის მხრივ გაწეული დანახარჯების %-ული წილი დანახარჯებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება (იხ. დიაგრამა 28).**

ანალოგიური ტენდენციას ავლენს დანახარჯების საშუალო წილობრივი მაჩვენებლები მუნიციპალიტეტების დონეზე ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით. კერძოდ, მუნიციპალიტეტების დონეზე დანახარჯების ყველაზე მაღალი წილი საშუალოდ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებასა და ეკონომიკურ საქმიანობის კატეგორიებს მიეკუთვნება. თუმცა აღნიშნული მაჩვენებლები 2015 წლისათვის გასულ წელთან შედარებით შემცირებულია. ამასთანავე, 2015 წელის მდგომარეობით გაზრდილია საბინაო-კომუნალური მეურნეობის, განათლებისა და დასვენების, კულტურისა და რელიგიის მიმართულებით გაწეული დანახარჯების საშუალო წილობრივი მაჩვენებლები (იხ. ცხრილი #18).

<sup>18</sup> აღნიშნული კლასიფიკაცია ეხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის არა ჯამურ გადასახდელებს, არამედ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ჯამს.



დაგრაფა 28: დანახარჯები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (2011-2015წწ.)

	2011	2012	2013	2014	2015
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	31.5%	26.5%	26.0%	24.6%	21.9%
ეკონომიკური საქმიანობა	16.9%	24.6%	25.6%	23.7%	23.3%
ჯანმრთელობის დაცვა	1.6%	1.4%	1.1%	1.1%	1.0%
სოციალური დაცვა	4.6%	4.4%	5.2%	5.6%	6.2%
დასვენება, კულტურა და რელიგია	13.3%	12.9%	12.5%	13.0%	13.8%
განათლება	7.5%	6.3%	8.0%	10.1%	11.4%
საბინაო კომუნალური მეურნეობა	15.1%	15.5%	12.1%	12.2%	14.0%
სხვა	10.0%	7.9%	9.2%	9.2%	8.5%


ცხრილი 18: დანახარჯების საშუალო წილობრივი მაჩვენებლები მუნიციპალიტეტების დონეზე(2011-2015 წწ.)

თბილისის ჯამური დანახარჯების მოცულობა მნიშვნელოვნად მაღალია სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. თბილისის ბიუჯეტის დანახარჯების ფუნქციონალური სტრუქტურის ანალიზისას შემდეგი ტენდენციები ვლინდება (იხ. დიაგრაფა 30 და 31):


- 2015 წლის მდგომარეობით დანახარჯების ყველაზე მაღალი წილი სოციალური დაცვის მიმართულებით გაჩეულ დანახარჯებს უჭირავს. კერძოდ, 2015 წლისათვის სოციალური დაცვის დანახარჯები მთლიანი დანახარჯების 22.7%-ს შეადგენს. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი 2011 წელს- 11.4%-ს, ხოლო 2013 წელს 19.8%-ს შეადგენდა;
- დანახარჯების არანაკლებ მაღალი წილი საბინაო-კომუნალური მეურნეობის მიმართულებით გაჩეულ დანახარჯებს უჭირავს. 2015 წელს საბინაო-კომუნალური მეურნეობის მიმართულების

წილობრივი მაჩვენებელი 21.6%-ს შეადგენს, ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წელს-32%-ს, ხოლო 2013 წელს-23%-ს შეადგენდა;


- ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით დანახარჯები 2015 წლის მდგომარეობით ჯამური დანახარჯების 11.6%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წელს 21%-ს, ხოლო 2013 წელს 17%-ს შეადგენდა;
- 2015 წლის მდგომარეობით მნიშვნელოვნად გაიზარდა დასვენების, კულტურისა და რელიგიის მიმართულებით გაწეული დანახარჯები, რომლის წილობრივი მაჩვენებელი დანახარჯებში 17.1 %-ს უტოლდება. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი 2011 წელს - 4%-ს, ხოლო 2013 წელს 7%-ს შეადგენდა.



დიაგრამა 30: დანახარჯები თვითმმართველი ქალაქების დონეზე, %-ული წილი, 2015 წ



დიაგრამა 31: თბილისის თვითმართვლობის დანახარჯები, მლნ ლარი, 2011-2015 წწ.



დიაგრამა 32: თბილისის თვითმმართველობების დანახარჯები, %-ული წილი, 2011-2015წწ.

## გამოყენებულ მონაცემთა წყარო

- ეკონომიკური ინდიკატორების გაანგარიშებისათვის გამოყენებული მონაცემები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- ფისკალური ინდიკატორების გაანგარიშებისათვის გამოყენებული მონაცემები - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- ახლადდარეგისტრირებულ აქტიურ საწარმოთა რაოდენობა - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- ელექტროენერჯის მოხმარება - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;
- სოციალური შემწეობის მიმღებთა რაოდენობა- სოციალური მომსახურების სააგენტო